საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)

პროლეტარიელნო ყველანი ერთიანდ, ერთმანეთს!

კომუნისტი

სამშაბათი, 3 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 7 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 7

საბჭოთა რუსეთის ეუბანელ წითელ კაზაკთა ცხენოსანი ჯარი მთავარსარდლის ამხ. ბუდიონის წინამძღოლობით თავზარდაცემულ პოლონეთის თეთრგვარდიელებს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ოსოვეცის აღების შემდეგ ვარშავისაკენ ერეკება. ასევეთიგე სისწრაფით მიიწევს წინ წითელი არმია სარნი-კოველის საზზედაც. სჩანს გადამწყვეტი ბრძოლა ვარშავთან ჩქარა დაიწყება.

მსოფლიო რეაქციის მეთაურს, ინგლისს, დიდი სამოქალაქო ომი აუტეხა ირლანდიამ. ტანჯული ხალხი 400-500 წლის მონობისაგან თავისუფლდება! ინგლისის პოლიტიკის მეთაური ლოიდ ჯორჯი იძულებულია საბჭოთა რუსეთის წინაშე იარაღი დაყაროს და კომუნისტების ბელადებს მორიგება თხოვოს.

საქართველოს მუშების და გლეხების სახელით კი დღევანდელ უაღრესათ მნიშვნელოვან მომენტში „მუშათა დელეგაციას" გზავნიან საბჭოთა რუსეთში.

საქართველოს მუშებო და გლეხებო! მიეცით „ნაკაზი" ამ „დელეგაციას", რომ საბჭოთა რუსეთის ხელი შეუწყოს მის საკაცობრიო ისტორიული მისიის შესრულების დიად საქმეში. დაავალეთ მას, რომ სწორი, უტყუარი ცნობებით და ჭეშმარიტ პროლეტარული სულით გაქღენთილი დაბრუნდეს უკან სამშობლოში, ვინაიდან ამაშია ხსნა ყველა ჩაგრული კლასებისა და ტანჯული ხალხებისა!

გურჟუაზიულ ევროპის საზღვარზე

დასავლეთ ევროპის ფრონტიდან ცნობა მოვიდა: მუშურ-გლეხური რუსეთის წითელმა ჯარმა აიღო უკვე ბრესტ-ლიტოვსკი, კოვნო და მოწინავე რაზმებით ვარშავის მიდამოებში გამოჩნდა. ამ რიგათ პოლონეთის კონტრ-რევოლიუციის ბუნაგი სულ მოკლე ხანში აფორიაქებული და განადგურებული იქნება. როგორც დინამიტი იფეთქებს ხოლმე, როცა აფეთქება ხდება ახლობელ ალაგას, ისე წითელი ჯარის მოახლოების გამო იფეთქებს მუშური რევოლიუცია ვარშავაში, ჩაიბარებს და დაეპატრონება ბურჟუა-პომეშჩიკებისგან გაწმენდილ პოლონეთს. დიდია საბჭოთა რუსეთის გამარჯვება ბრძოლის ველზე, მარა კიდევ უფრო მეტია მისი გამარჯვება პოლიტიკურ ნიადაგზე: გერმანიამ სიჩქარით იცნო საბჭოთა მთავრობა, თავისი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და გადაწყვიტა არ გაატაროს გერმანიის ტერიტორიაზე არავითარი ჯარი ან საომარი მასალა რუსეთის წინააღმდეგ მიმავალი. ეს ისეთი გარდატეხაა მსოფლიო რევოლიუციის მსვლელობაში, რომ მისი სათანადო დაფასებაც კი მეტად საძნელოა ამ ჟამათ. რუსეთი აღმოსავლეთ გალიციის გაწმენდით და აგრეთვე კოვნოს აღებით და მდ. ნემანზე გადასვლით მიადგა დასავლეთ ევროპას. რევოლიუციის მახარობლის მაბვილის კაკუნი მიესმა ბურჟუაზიას თავის მიუვალ ციხე-სიმაგრეში და ისიც შეწრიალდა, შეშფოთდა, ის ეხეთქება ხან აქეთ, ხან იქით. რასაკვირველია ინიციატივა ბრაზმორეულ საფრანგეთის ბურჟუაზიის ხელშია, ის გაიძახის პოლონეთისთვის დახმარებაზე, რაკი საფრთხე მიადგა მის საკუთარ კაპიტალს. მარა ვერც საფრანგეთს და ვერც მთელს ანტანტას დღეს-დღეობით არ შეუძლიათ რაიმე სამხედრო დახმარების გაწევა პოლონეთისთვის იმდენათ, რომ ის ხელახლა გადააქციოს ე. წ. სანიტარულ კორდონათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ანტანტა იძულებული იქნება დაკმაყოფილდეს და ბედნიერათ ჩათვალოს თავი, თუ კი წითელი რუსეთის ტალღა შეჩერდება მის პირდაპირ საზღვრებზე, ამას ანტანტა შესძლებს მხოლოდ და მარტო იმ შემთხვევაში, თუ ქედს მოიხრის რუსეთის წინაშე დიპლომატიურ-პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ შემთხვევაში რუსეთის რევოლიუციამ შეიძლება შესვენება არჩიოს რამოდენიმე ხნით, რათა შემდეგში მეტი ძლიერებით, იერიშით მივიდეს ბურჟუაზიულ ევროპაზე. ხოლო თუ ანტანტამ იარაღის ჟღარუნი განაგრძო და შეეცადა ხელახლა განაპირა სახელმწიფოების ამხედრება რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელიც იძულებული იქნება საზღვარი გადალახოს და რევოლიუციის სტიქიას ენდოს.

მეტისმეტათ სერიოზული მომენტი დგება, ბურჟუაზიული ევროპის კბილებჩაცვენული გოლიათი პირისპირ ხვდება პროლეტარული რევოლიუციის ჩირაღდანის მატერებელს ჭაბუკ დავითს. შეიკავებენ თავს დროებით და ერთმანეთის დაზვერით დაკმაყოფილდებიან ჯერ-ჯერობით, თუ ახლავე ეკვეთებიან ერთმანეთს—ყოველ შემთხვევაში საბოლოო გამარჯვება მისია, ვის მხარეზედაც არის მთელი ქვეყნიერების მშრომელთა თანაგრძნობა, ვისკენაც მიეშურებიან ყველა ქვეყნების ჩაგრულთა რაზმები. Пусть сильнее грянет буря!

ვალიუტის მაძიებელნი

ფინანსიური კაპიტალის უაჩაღური ბუნების შედეგი იყო საზღვაო [illegible] ლისტური ომი, რომლის წყალობით კაცობრიობის საუკუნოებით დაგროვილი მატერიალური სიმდიდრე და კულტურული ფასეულობანი განიავდა, ადამიანთა სისხლის ზღვაში ჩაიძირა. გამოიფიტა საწარმოო ძალთა ნიადაგი და საძირკველი, მარა ამ ომის ზეგავლენითვე თვით ფინანსიურმა კაპიტალმა განიცადა ისეთი ცვლილება, ისე შეინჯღრა მისი ტახტი, რომ ძველი მდგომარეობის აღდგენა ყოველად შეუძლებელია. კაპიტალის მძლეთა-მძლეობის გარეგნული გამოხატულება, მისი მეომარი ჯარი ეკონომ. სარბიელზე იყო ფული და ფულის ნიშნები. ეს ფულის ნიშნები წინეთ გამომხატველნი იყვენ ღირებულების, მათ ეკვივალენტს წარმოადგენდნენ და ამიტომაც, ისინი გადმოდიოდენ კაპიტალისტური საქონლის ტრიალის, გაცვლა-გამოცვლის და რეგულიატორის იარაღის და საშუალების როლში. ომმა კი სავსებით, და მგონი სამუდამოთაც, გასწყვიტა მათი კავშირი წარმოების მატერიალურ საფუძველთან, და ფულის ნიშნებიც, კომუნისტური ინტერნაციონალის მანიფესტის სიტყვით, ომის დროს იქცენ მხოლოდ რეკვიზიციების, ტაციობის და საზოგადოთ სამხედრო-ეკონომიური ძალადობის იარაღათ.

ასეთი გადაგვარება ფულის, და ქაღალდის ფულის უმთავრესათ, ანარეკლია კაპიტალისტური საქონლის ტრიალის მომაკვდინებელი კრიზისის, ისეთი ავადმყოფობის ნიშანი და სიმპტომია, რომლის გადატანა კიდეც რომ შეეძლოს დრო მოშმულ კაპიტალიზმს, მაინც შორეული მომავლის საქმეა. ახლა კი, კაპიტალიზმის რღვევის ხანაში, დაწყებულ მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის ხანაში, როცა იმპერიალისტური ომები სამოქალაქო ომათ იქცევიან, თვით ეკონომიურათ მძლავრი ქვეყნები, თვით წარმოების დეგენერაციაც კი დაავადებული არიან ამ სენით და სასიკვდილოთ ფერი სდევთ. და თუ ამ პროცესის ფარგლებშია მოქცეული ევროპის დიდი და უდიდესი ქვეყნები, რაღა ითქმის მაგალ., ამიერკავკასიის ახალ გამოჩეკილ სახელმწიფოებზე, რომლებსაც არა თუ საკუთარი ე. წ. ვალიუტა არ გააჩნიათ, თვით ქაღალდის ფულსაც მოკლებულნი არიან, და მხოლოდ ფულის ნიშნის ნიშნებით, ჯნობილ ბონებით ძლივს ითქვამენ სულს. და თუ იქ, ევროპაში, ვალიუტის დასნეულების სამკურნალოთ საჭიროა რადიკალური მკურნალობა, რევოლიუციონური გუთნით გადახვნა მთელი კაპიტალისტური სისტემის, განა ჩვენებური „სოფლის წამალი", მკითხაობა და გამოლოცვა უშველის რამეს ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური სანამდვილის ოდნავათ მაინც ამწვანებას? რასაკვირველია არა. მაგრამ სწორეთ ასეთ მკითხაობას შედგომიან ჩვენში და „საუწყებათაშორისო" [illegible] ფინანსიურ-ტექნიკურ თათბირებით გაუფიქრიათ დაავადებულ კაპიტალ[illegible] სტემის ერთ ძირითადი პრობლემის გადაჭრა. ერთი ასეთი საგანგებო თათბირი შემდგარა ამ დღეებში (იხ. „ერთობა" № 168) საქართველოს ვალიუტის კურსის შეუჩერებელ დაცემის წინაღმდეგ საბრძოლველ ზომების გამოსამუშავებლათ, და აი ასეთი ჯანაოზის წვეთების გამოწურა დაუდგენია: 1) ვალიუტის ფონდის შექმნა; 2) დაარსება ეკონომიური საბჭოსი, რომელიც სახელმწიფოს მეურნეობის გეგმას შეიმუშავებს; 3) ბრძოლა სპეკულიაციასთან პირდაპირ მწარმოებელთაგან აუცილებელი საქონლის შესყიდვით; 4) ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, და სხ...

როგორც ხედავთ, ისეთი ეკონომისტები გვყოლია, რომ მათ პატრონ ქვეყნის ბედს ძაღლმაც არ უნდა დაეყეფოს.

ვალიუტის ფონდის დაუყონებლივი შექმნა! სწორედ ვალიუტის პრობლემა ვალიუტის საფუძვლიან ფონდის პრობლემაა და როცა ამ ფონდის შექმნას აღგენენ—ეს ერთგვარი ენუქას ანდერძი გამოდის. ეს იმას ემგვანებოდა რომ დაედგინათ: გამდიდრებისათვის სიმდიდრის შეძენაა საჭიროვო.

ეკონომიური, სახელმწიფო მეურნეობის გეგმის წინდაწინ შემმუშავებელი საბჭო! ეს ხომ სოციალისტური რუსეთის ე. წ. „სოვნარხოზი"-ა. და ასეთი დაწესებულება ვაჭრობის და წარმოების თავისუფლების ქვეყანაში! იქ, სადაც „კერძო ინიციატივის" შეზღუდვაზე სიტყვის ჩამოგდება მხოლოდ საპარადო გამოსვლების ან მიმართვების დროს ხდება!

ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება! ეს ალბათ ლოიკური დასკვნა და დამატებაა საქართველოს „სოვნარხოზის". გვახსოვს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე ნ. ჟორდანიამ თავის საზეიმო სიტყვაში აუწყა ქვეყნიერებას, რომ საქართველოში ვაჭრები სავსებით თავისუფალი არიან და იქნებიანო, და ეს დაპირება სავსებით შესრულებულ იქნა: საქართველოში ვინაა ვაჭრებზე უფრო თავისუფალი? ვისი უფლებრივი მდგომარეობაა ასე მკვიდრ საფუძველზე დამყარებული: გლეხის, მუშის, უბრალო მოქალაქის, თუ სამსახურის ხალხის? და თუ მაინც დღის წესრიგში ჩაუყენებიათ ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, ეტყობა მეტის მეტი „სერიოზული" ბრძოლა გადაუწყვეტიათ სპეკულიაციასთან, და ქართველ მოქალაქეს მართებს მხიარულება და ზეიმი, რომ ასეთი მომჭირნე, შორს და ღრმათ მჭვრეტი ეკონომისტები უდარაჯებენ მის კეთილდღეობას და ისე მოხერხებულათ მიყავთ საქმე, რომ სრულიადაც არა ხუმბრობით, არამედ დინჯათ და დარბაისლურათ ერთი წევრი საუწყებათაშორისო თათბირის მზრუნველობის საგანს აბნევდა თვით რუსეთზედაც „კი: ის „დიდ [illegible] რუსეთ[illegible]სა და ევროპის შორის საქართველოს არბიტრის როლში გამოსვლას. მომენტი ახლა ხელსაყრელია. და იგი არ უნდა გაუშვათ ხელიდან"-ო.

ჯარგია და პატივმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი იქნებოდა სავაჭრო და საფინანსო საკითხებში არბიტრის როლში გამოსვლა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროსი, მარა დღეს დღეობით, ბონების ამარა მყოფ უწყებისათვის ამ როლში გულადათ გამოსვლა ვაი თუ საყოველთაო ხარხარს გამოიწვევდა!

ადგილობრივი პრესა

როგორც მოსალოდნელი იყო მენშევიკურ—ნაციონალისტური პრესა, როგორც ბუზი თაფლს, ისე მიესია დეპეშ. სააგენტოს გამოქვეყნებულ ცნობას გაგრის ოლქის საზღვარზე დაკავებულ სურგულაძის და სხ., და მათთვის აღმოჩენილ საბუთების შესახებ. „ერთობა" დარვიშივით მოთქვამს და გოდებს:

„როცა დასჭირდებათ, ჩვენებურ კომუნისტებს ძლიერ უყვართ თავის მოკატუნება, თავის მოჩვენება უწყინარ კრავად, მხოლოდ ლეგალური მუშაობის მოტრფიალედ და ფაროული მუშაობის მოძულეთ. ჩვენ მკითხველებს, უეჭველია, არა ერთხელ წაუკითხავს „კომუნისტში" აღშფოთებული წერილები იმის გამო, რომ „საზიზღარი მენშევიკები" მათ „ცილს სწამებენ", ვითომც ისინი სიტყვით ლეგალურ ნიადაგზე დგანან, საქმით კი ისევ ფაროულს მუშაობას ეწევიან, ისევ შეთქმულობას აწყობენ ჩვენის რესპუბლიკის მთავრობის ჩამოსაგდებათ არა მარტო იდეურ მუშაობის გზით, არამედ ძალადატანებით, იარაღის საშუალებით. თუ კომუნისტებს მიუთითებდით პროლეტარული მუშაობის ფაქტებზე (რაც ასე მალულად ხდებოდა), ისინი მაშინვე იმით იმართლებდნენ თავს, რომ ეს ფაქტები ცალკე უპასუხისმგებლო პირების მიერ არის ჩადენილი და მათთან კომუნისტურ პარტიას საქმე არა აქვსო. ამისთანა ფაქტების გამო „კომუნისტი" სულ იმას გაიძახოდა, რომ მენშევიკები „ცდილობენ თითებიდან გამოსწოვონ ჩვენი გამამტყუნებელი ყალბი მოჭორილი „საბუთებიო" (კომუნისტი № 23).

დღეს ჩვენს წინ დევს ისეთი საბუთები, რომ თვით გულადი კომუნისტებიც ვერ გაბედავენ მათს მოქცევას ბწკარებში. მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში კომუნისტების **პარტიული** (და არა კერძო პირების) არალეგალური მუშაობის ისეთი ნიმუშებია მოყვანილი, რომ თვითყოველის უარმყოფელი „კომუნისტიც" კი ვერაფერს იტყვის მათ წინააღმდეგ. მოვიხსენებთ რამდენსამე დამახასათებელს ფაქტს".

საუბედუროთ ჩვენ ვერ გავამართლეთ [illegible] მოლოდინი და არა [illegible] (ვითომ?) ჩავსვით განცხადება (რომელსაც „ერთობა" ახლამთავრობის განცხადებათ ასაღებს, არამედ შესაფერისათ დავაფასეთ, და ვთქვით, რომ ჩირად არ ღირს ეს „საბუთები", კიდეც რო უტყუარი იყოს მათი ბუნებრივი არსებობა...

შემდეგ გაზეთი ღეჭავს და იცოხნის ცნობის „ფაქტიურ" მასალას, და რასაკვირველია, ჯამბაზივით ამუშავებს ხელებს: თუმც ცნობაში გარკვევით არის დასახელებული რუსეთის კომუნისტ. პარტიის ბათუმის კომიტეტი, გაზეთი მაინც მეორეჯერ იხსენიებს და ხაზსაც უსვამს ბათუმის კომუნისტურ კომიტეტს; თუმც ცნობაში ნახსენებია ერთი დოკუმენტის თარიღი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მარა „ერთობა" თვალს არიდებს მას, კომუნისტური პარტიის ბათომის კომიტეტსა" და გაგრის კომიტეტს ერთი და იმავე პარტიაში აქცევს (საქართვ. კომ. პარტიაში!) და სხ.

ბოლოს გაზეთი ვითომ გულწრფელათ შეშფოთებული, გვეკითხება:

„რას იტყვის ამ ფაქტების წინააღმდეგ „კომუნისტი"? მიუცია თუ არა, მის პარტიულ ორგანიზაციებს საქართველოს მთავრობისთვის საბუთი რეპრესიების ხმარებისა?"

უკვე გითხარით და კიდევ გეტყვით: თავი მიანებეთ ბატონებო ტრაღიკულ კილოს, უკუაგდეთ ეს თავიდან ბოლომდე ხელოვნური როლი, რადგან მიუხედავათ დიდი ცდისა და ხანგრძლივ „კვლევა-ძიებისა" თქვენს მაძებარ აპარატს ვერ აღმოუჩენია ვერც ერთი ფაქტი ჩვენი პარტიის ულოიალობის მას შემდეგ ჩადენილი, რაც ჩვენ ლეგალურ ნიადაგზე დავდექით, რაც ხელი ავიღეთ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღით ბრძოლაზე. ვიმეორებთ კიდევ და კიდევ, რომ ჯერ ეს ჩვენი გადაწყვეტილება სრულ ძალაში რჩება და ტყვილა ნუ ცოდვილობთ, საწინააღმდეგო საბუთებს ვერ აღმოაჩენთ, ხოლო თეთრი და დამპალი ძაფით ნაკერავ „საბუთებს“ ადვილათ აეხდება ფარდა და გაესინჯება ძირი.

* * *

იმავე ლირსებისაა გაზ. „ბორბა“-ს „მოწინავის“ თამაში ჩვენი პროკურორის როლში: „ფაქტები“ მართლა რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის და დამაჯერებელი არიანო, იტკბარუნებს პირს დარდიმანდი-პოლიტიკოსი და ბოლოს „აღრმავებს“ საკითხს მით, რომ რუსეთის ცენტრალურ მთავრობას და მის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ასწავლის ჭკუას—როგორ უნდა მოიქცენ მათივე ინტერესებისათვის ადგილობრივ „კომუნისტების“ (ფრჩხილებში რასაკვირველია) მიმართ, მათგან გასამიჯნავათ. ერთი კია საკითხავი: რა მოსაზრებით ურევენ ამ საქმეში საბჭოთა რუსეთს? გაღმა შედავებით სურთ გამოღმა ჩადენილი ძალადობა გაათეთრონ, თავი იმართლონ. რა უიმედო საქმეა!

* * *

თავის მოძმეებს არ რჩება უკან „ნოვ. გრუზია“, რომელიც მეტი სიცხადით ააშკარავებს რეპრესიების ავტორთა საკმაოთ დაფარულ ზრახვებს: ხელშეკრულობის ძალით კომუნისტური პარტია ლეგალური გახდაო და რაკი ის რესპუბლიკის დაქცევაზე ხელს არ იღებს, მომავალ მოლაპარაკების დროს ლონდონში რუსეთს უნდა დაემტკიცოს კომუნისტების ლეგალური არსებობის ყოვლად აუტანლობაო: ესე იგი, ჩვენ გვსურს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა, ამიტომ ის უკვე დავარღვიეთ კომუნისტების შესახები ნაწილში, ახლა „ფაქტებზე“ მიგითითებთ და ველით ხელშეკრულობაში ცვლილების შეტანასო!—აი „გრუზია“-ს უმანკო პირით მეტყველი მენშევიკური „პოლიტიკის“ ჭეშმარიტება. ყოველ შემთხვევაში ქართველ ზუბრების გულახდილობა სჯობია ზოგიერთ უმგვანო დიპლომატების მანჭიაობას.

ერთხელ კიდევ მოქ. რაჟდენიძე და მისი „დემოკრატია“

მოქალაქე რაჟდენიძეს „გულმა არ მოუთმინა“ და გუშინ—წინდელ, კვირის „ერთობის“ №-ში (172) ერთხელ კიდევ „უკანასკნელათ“ გამოიჯირითა ჩვენს წინააღმდეგ.

პირველ ყოვლისა ერთი რამ გვაკმაყოფილებს ამ მისი „უკანასკნელ“ გამოჯირითებაში. სახელდობრ ის, რომ ჩვენს მოკამათეს „ჭკუა უსწავლია“ და თავის მოპირდაპირის უსაბუთო დამცირებაზე ხელი აუღია. ამ საკითხზე ჩვენც ჩვენი მხრით სიკეთით ვუპასუხებთ!

მაგრამ ამასთან არ შეგვიძლია მისი ერთი ბუნებრივი თვისება მაინც არ აღვნიშნოთ. როგორც ვერცხლის წყლის წვეთებს ერთ წერტილზე ვერ შეაჩერებთ, მუდამ ტოკავს, სწორეთ ასევე მოქ. რაჟდენიძეს საგანზე, ერთ საკითხზე და თვალსაზრისზე ვერ შეაყენებთ. ის მუდმივ რყევას და დაუდგრომლობას განიცდის. ის ახლა ჩვენ გვიკიჟინებს, რომ „ჩვენ გაურბივართ პრინციპიალურ საკითხებს და სქოლასტიურ ჩხირკედელაობას მივსდევთ“. „კითხვა მარტივიაო, ამბობს ის (ნახ. „ერთობის“ № 172-ში) და აყენებს კითხვას: „დემოკრატია იძლევა თუ არა ისეთ ფორმებს, რომლებიც გამოდგება და სასარგებლოცაა“ და სხვა. არა, მოქალაქე, ჩვენი კამათის საგანი და საკითხი ჩვენ თავიდანვე გამოარკვიეთ. ეს არის კაპიტალიზმის გაუქმებისა და სოციალიზმის დამყარებისაკენ ჭეშმარიტი, ნამდვილი სავალი გზის გამონახვა და არა მარტო „დემოკრატიზმის“ ფორმების სარგებლობა—უსარგებლობაზე ლაყბობა.

და ასეც რომ იყოს, მაშინ ჩვენ მოკლეთ მოგახსენებდით. არა თუ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი, თქვენებურათ „დემოკრატია“, არამედ ბურჟუაზიულ-რევოლიუციური ლიბერალიზმიც, გეტყვით თამამათ, დიდათ „სასარგებლო და გამოსადეგი“ იყო ერთ დროს! მარა ეს განა იმას ნიშნავს, რომ იგი ახლაც სასარგებლოთ და გამოსადეგათ ვიცნოთ? არა, ჩვენ ასე არ ვმსჯელობთ!

თქვენ იმოწმებთ როზა ლიუქსემბურგს და თვით მარქსს. ტყვილა აწუხებთ ამ ჩვენს წინდანებს. ესენი სხვა დროზე, სხვა პირობებში ბჭობდენ და აქ მათი სიტყვა მოსატანი არ არის. რაც შეეხება კაუცკის, ჯერ ერთი ეს მიბრძანეთ: რომელ კაუცკის მიმართავთ თქვენ? ძველს, პატივცემულ იდეოლოგს, ს. დ. პარტიის „დიდ თეორეტიკოსს“, თუ მსოფლიო უკანასკნელი ომით შერყეულ მოხუცს, რომელმაც თავი ამ ბოლო დროს მხოლოთ აშკარა რენეგატობით ღა განდგომილობით ისახელა? თუ პირველს,—მაშინ ჩვენ გეტყვით, რომ მართალი ხართ, და მართალი ხართ სწორეთ ამ აზრით, რა აზრითაც ჩვენც ვცნობთ და ვაღიარებთ დემოკრატიზმის [illegible] საზოგადოთ, რასაც ჩვენ ამ აბაჯაცის თავში მოგახსენებთ. მაშასადამე ამაზე დავა და კამათი მეტია!

და თუ თქვენ რენეგატ კაუცკის იმოწმებთ, მაშინ უნდა გითხრათ, რომ ამით თქვენც მის რენეგატობას იზიარებთ და თქვენც ერთი მსხვერპლთაგანი ბრძანდებით ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენით შერყეული, მისი ცრუ აზროვნობისა.

მაგრამ ჩვენ ამაზე როდი გვაქვს დავა. საქმე იმაშია, რომ თქვენ პროლეტარიატის დიქტატურის შინაარსის, ე. ი. ეკონომიკის საუკეთესო გამოხატულება“ დემოკრატიის“ პოლიტიკურ ფორმაში ჰპოვეთ. აი რაშია თქვენი ძირითადი შეცდომა. ამ შეცდომიდან თქვენ ვერ გიხსნის ვერც თვით მარქსი.

თქვენ თვითონ იძულებული გახდით დამთანხმებოდით, რომ შეცვლილ შინაარსს, უთუოთ შეცვლილი ფორმა მოჰყვება“.

თქვენ ახლა იმაზედაც იძულებული გახდებით დამეთანხმოთ, რომ დღევანდელი საზოგადოების ვითარება შეცვლილია შინაარსის მხრით, მაშასადამე უნდა დათანხმდეთ იმაზედაც, რომ ამ საზოგადოების პოლიტიკური ფორმაც უნდა შეიცვალოს. ამ ლოლიკას ვერსად ვერ წაუხვალთ. თქვენ ლოლიკის ფოლადისებურ სალტე-რკალში ხართ მომწყვდეული! თქვენ მხოლოთ ერთი დაგრჩენიათ. სახელდობრ ის, რომ აღიაროთ: „მართალია ფორმაც იცვლება“, მაშასადამე დემოკრატიის პოლიტიკური ფორმაც შეუცვლელი ვერ დარჩება.

ძალიან კარგი. ახლა ჩვენ გეკითხებით: რაში გამოიხატა და უნდა გამოიხატოს ეს ცვლილება?

ამის პასუხს, ვიდრე თქვენ რასმე იტყოდეთ და მიკიბავ-მოკიბავდეთ, ჩვენ მარქს-ენგელსს არ შევაშფოთებთ კაცობრიობის ისტორიამ დღემდე მხოლოთ ორი მაგალითი იცის პროლეტარისტის დიქტატურის გამოხატვისა. ერთია მეტათ ხან მოკლე—სულ რაღაც 40 დღისა—„პარიზის კომუნა“, ხოლო მეორეა რუსეთის პროლეტარიატის დღევანდელი დიქტატურა, რომელიც აგერ ორ წელიწად ნახევარზე მეტი ხნისაა და მსოფლიო რეაქციაზე ძლევა-მოსილი ჯრსებობას განაგრძობს.

თუ რა პოლიტიკურ ფორმებს ხედავდა მარქსი „პარიჟის კომუნაში“, ამას მისი სამაგალითო ნაწარმოები—„სამოქალაქო ომი საფანგეთში“—მოწმობს, რაც უეჭველია წაკითხული გექნებათ. საკვირველია, მხოლოთ, თუ რათ [illegible] ხათელი პასუხი თქვენ მიერ წამოყენებულ კითხვაზე: რას წარმოადგენდა „პარიჟის კომუნა და რა პოლიტიკური ფორმა გამონახა მან თავისი მიზნების მისაღწევათ?

ჩვენ აქ ამ გენიოსურ ნაწარმოებიდან ამოწერილი ციტატებით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებთ, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ მიზნის მიღწევა—მარქსის აზრის გაგება და შეთვისება თვით ნაწარმოების ტექსტის შესწავლით შეიძლება და არა აქა იქ ამოგლეჯილი ფრაზების გაზეპირებით. ამიტომ ჩვენ გულწრფელი რჩევაა, წაიკითხოთ გულდასმით, ვისაც ჩვენ სიტყვებში ეჭვი შეაქვს დასახელებული ნაწერმოები და დარწმუნდებიან, თუ როგორ მსჯელობს მარქსი, რამდენათ მართალი ვართ ჩვენ და როგორ ცდება მოქ. რაჟდენიძე.

დემოსიძე.

ჩვენი პარტიის „დეზერტირები“.

დღევანდელ პირობებში ყოველი პარტია მთელი თავისი შემადგენლობით, თავისი პარტიული არმიით ბრძოლის ველზე დგას. ყოველი პარტია ეკუთვნის ამა თუ იმ ბანაკს, ამა თუ იმ კოალიციას და თავგანწირვით ეომება მოწინააღმდეგე პარტიას. ამიტომ ყოველი წევრი პარტიისა თავის განსაზღვრულ პოსტზე დგას და თავის დანიშნულებას ასრულებს. და აი იქ, იმ პოსტზე, სადაც პირადი ინტერესებისათვის მეტი საფრთხეა და მებრძოლს მეტი „რისკი“ სჭირდება, ხშირია ღალატი, ან „დეზერტირობა“ და „პარტიიდან გასვლა“, უკეთ გამოქცევა.

პარტია, ცხადია, სამხედრო ორგანიზაცია, ჯარი არაა, ეს პირადი ნებაყოფლობით შემოსულ წევრთა ორგანიზაციაა, ამიტომ აქ უფრო მეტათ შინაგან სულიერ განწყობილებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომ არის, რომ ყოველი პარტიის „დეზერტირი“, რა მიმართულების და კლასის პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს ის, სინდისის ქენჯნას განიცდის. ის თავს მოღალატეთ, გრძნობს და ხშირათ ისევ უკანვე უბრუნდება ერთხელ მიტოვებულ პარტიას. პარტიის ისტორიამ ამის მაგალითი ბევრი იცის. მაგრამ აქ ერთი გარემოებაც არის აღსანიშნავი. სახელდობრ ის, რომ ხშირათ ადამიანის სულიერ განწყობილებაში გარდატეხა ხდება და მისი სულიერი მიმართულება ძირიანათ იცვლება. და აი [illegible] ცდილობს, რომ მასში მომხდარი ეს ცვლილება დაასაბუთოს, გაამართლოს, ახალ „მსოფლმხედველობით“ და შეცვლილ რწმენათ გამოიტანოს ის. ამ [illegible] იგი ასეთი მსჯელობით სინდისს ამშვიდებს და თავის თავში ერთგვარ ჰარმონიას ჰქმნის, წინაღმდეგობას სპობს.

ამიტომ არის, რომ დღევანდელ პირობებში, ბრალიანი და უბრალო პარტიული „დეზერტირებიც“ კი ასეთ, მაღალ იდეიურ“ საბუთებს ეფარებიან და თავიანთ მშიშარა, ქვენა ბუნებას, სუსტ ხასიათს თავისი მსოფლხედველობას და „რწმენის“ შეცვლით ასაბუთებენ და ხსნიან.

ასეთი პარტიული „დეზერტირები“ განსაკუთრებით დღევანდელ რევოლიუციურ დროში გამრავლდენ. რევოლიუციურ და კონტრ რევოლიუციურ ძალთა ჭიდილი ასეთ სუსტი ბუნების პატრონი ხან ერთ მხარეზე აყენებს, ხან მეორეზე. სხვას რო თავი დავანებოთ, ამის აშკარა მაგალით „ერთობის“ მიერ აღმოჩენილი გმირი, ვინმე, სმირნსკიც წარმოგვიდგენს; რომელიც თურმე ერთ დროს „დენიკინელი“ ყოფილა, ახლა კი „მართლმორწმუნე კომუნისტია.“ რუსეთის მენშევიკები ამ ბოლო დროს სულ იმას ჩივიან, რომ ბალშევიკებმა პარტია რაღაც ნაირათ მოგვიჯადოვეს და ჩვენი ამხანაგები თავიანთ მხარეზე გადაჰყავთო. უბადრუკნი! ამასაც ვერ მიმხვდარან, რომ პარტიის სუსტი წევრები თანამედროვე პარტიათა მძაფრი ბრძოლის პირობებში იმ მხარეზე გადადიან, საითაც მათ უფრო ემარჯვებათ, ე. ი. სადაც უკეთ გრძნობენ თავს. ეს ხალხი „რწმენის“ ხალხი სულაც არაა, არამედ ისინი „თავის ტყავის დაცვის ხალხია“ და სადაც მყუდრო ბინას ნახავენ, იქ მოიკალათებენ ხოლმე. არის თითო ოროლა რწმენით გადასული ამა თუ იმ მხარეზე, მარა ასეთები მეტად მცირეა. მოვიგონოთ, მაგალითად, ცნობილი მენშევიკი ლარინი, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის დღიდანვე ბალშევიკებს მიემხრო და რომელსაც დღეს ამ პარტიაში და სახელმწიფოებრივ ასპარეზზედაც დიდი, საპატიო ადგილი უკავია. ასეთი პირები მეტად იშვიათია. ხშირად კი უბრალო მომაკვდავნი ათობით და ასობით გადადიან ამა თუ იმ მხარეზე და ამათი გადასვლა „რწენის“ ან მსოფლ-მხედველობის გამოცვლას სულაც არ მიეწერება. ასეთებში მხოლოდ ხდება სტიქიური სულიერი გადატეხა და ისინიც დგებიან მოწინააღმდეგის პოზიციაზე. სწორედ ასეთ პირთა რიცხვს ეკუთვნიან ამ დღეებში „ერთობის“ ფურცლებზე გამოსულნი ჩვენი პარტიის „დეზერტირები“, რომელთა დეზერტირობით ჩვენი მოწინააღმდეგე პარტია სარგებლობს და ნიშნს გვიგებს: აჰა, ხომ ხედავთ როგორ გლა-

---

ნ. ლენინი

„მემარცხენეობის“ საუმა-წვილო სენი კომუნიზმში

II

ბალშევიკების გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობა

ალბათ ახლა უკვე ყველა ხედავს, რომ ბალშევიკები ორ-ნახევარი წელიწადი კი არა, ორ-ნახევარ თვესაც ვერ შეინარჩუნებდენ ძალა-უფლებას, ჩვენს პარტიაში რომ არ ყოფილიყო დაცული უსასტიკესი ჭეშმარიტი რკინის დისციპლინა, მისთვის რომ მხარი არ დაეჭირა თავდავიწყებით მუშათა კლასის მთელ მასსას, ესე იგი ყოველივე მას, რაც არის მასში მოაზროვნე, პატიოსანი, თავგანწირული, გავლენიანი და რასაც შეუძლია უკან გაიყოლიოს ან გაიტაცოს ჩამორჩენილი წრეები.

პროლეტარიატის დიქტატურა არის უკიდურესათ თავდადებული და უკიდურესათ დაუნდობელი ომი ახალი კლასის წინააღმდეგ უფრო მძლავრი მტრისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიის, რომლის წინააღმდეგობა გაათკეცებულია მისი დამხობით (თუნდა ერთ რომელიმე ქვეყანაში) და რომლის ძლიერება მდგომარეობს არა მარტო საერთაშორისო კაპიტალის ძალაში, ბურჟუაზიის ძალაში და მისი საერთაშორისო კავშირის სიმტკიცეში, არამედ წვრილი წარმოების ძალაშიც, ჩვეულების ძალაშიც (в силе привычки). ვინაიდან, სამწუხაროთ, წვრილი წარმოება ჯერ კიდევ ძლიერ ბლომათაა დარჩენილი ქვეყანაზე, წვრილი წარმოება კი ბადებს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიის გამუდმებით, ყოველ დღე, ყოველ საათს, სტიქიურათ და მასიური მაშტაბით. ყველა ამ მიზეზების ზეგავლენით საჭირო და აუცილებელი ხდება პროლეტარიატის დიქტატურა, და გამარჯვება ბურჟუაზიაზე შეუძლებელია გარეშე ხანგრძლივ, დაჟინებითი, სასოწარკვეთილ, სამკვდრო-სასიცოცხლო ომისა, გარეშე ომისა, რომელიც მოითხოვს გაკაჟებულ მოთმენას, დისციპლინას, სიმტკიცეს შეურყევლობას და ერთიანობას ნებისყოფისას.

ვიმეორებ, რუსეთის პროლეტარიატის ძლევამოსილი დიქტატურის გამოცდილებამ ნათლად დაანახა ყველას, ვისაც არ შეუძლია ფიქრი და ან არ უფიქრია ამ საკითხზე, რომ ცენტრალიზაცია ყოველ პირობის გარეშე და უსასტიკესი დისციპლინა პროლეტარიატისა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პირობას ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის.

ამაზე ხშირათ აჩერებენ ყურადღებას მარა სულ ნაკლებათ ფიქრობენ იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს? თუ რა პირობებშია ეს შესაძლებელი? განა საჭირო არ არის საბჭოთა მთავრობისა და ბალშევიკებისადმი მისალმებებს უფრო ხშირათ დაერთოს სერიოზული ანალიზი იმის მიზეზების, თუ რატომ შესძლეს ბალშევიკებმა გამომუშავება რევოლიუციონური პროლეტარიატისათვის საჭირო და აუცილებელ დისციპლინისა?

ბალშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია. არსებობს 1903 წლიდან. [მხოლოთ ბალშევიზმის არსებობის მთელი პერიოდის ისტორიას შეუძლია დამაკმაყოფილებელი ახსნა მოგვცეს—თუ როგორ შესძლო მან გამოემუშავებია და უუძნელეს პირობებში შენარჩუნებია ის რკინის დისციპლინა რომელიც საჭიროა პროლეტარიატის, გამარჯვებისათვის.

და პირველ ყოვლისა, იბადება კითხვა: რაზეა დამოკიდებული პროლეტარიატის რევოლიუციონური პარტიის დისციპლინა? რა საშუალებით ხდება მისი გადასინჯვა? რა ამაგრებს მას?

პირველათ, პროლეტარული ავანგარდის შეგნებაზე და მის ერთგულებაზე რევოლიუციისადმი, მისი გაკაჟებული მოთმენაზე, თვითგანწირვაზე გმირობაზე. მეორეთ: მის მოხერხებაზე—დაუკავშირდეს, დაუახლოვდეს რანოდენიმეთ და, თუ გნებავთ, გაერიოს მშრომელთა უფართოეს მასას, პირველ ყოვლისა პროლეტარულ მასსას, მარა აგრეთვე არაპროლეტარულ მშრომელ მასსასაც. მესამეთ: სწორ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე, რასაც ახორციელებს ეს ავანგარდი მისი პოლიტიკური სტრატეგიის და ტაქტიკის სისწორეზე, ხოლო იმ პირობით კი, რომ ამ სისწორეში საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდენ უფართოესი მასსები.

ამ პირობების გარეშე, განუხორციელებელია დისციპლინა რევოლიუციურ პარტიაში, რომელსაც ნამდვილათ შეუძლია იყოს პარტია მოწინავე კლასის, ბურჟუაზიის დამამხობელის და მთელი საზოგადოების განმაახლებელის. ამ პირობების გარეშე აუცილებლათ უშინაარსო ფრაზათ მანჭიობით იქცევა ყოველი ცდა დისციპლინის შესაქმნელათ მიმართული.

ასეთი პირობები კი, მეორე მხრით, უცბათ ვერ წარმოიშვებიან. მათ იმუშავებს მხოლოთ ხანგრძლივი შრომა, ძიმე გამოცდილება; მათ გამომუშავებას აადვილებს სწორი რევოლიუციონური თეორია, რომელიც, თავის მხრივ, დოგმის სახით კი არ გვევლინება, არამედ საბოლოოთ იჭედება მხოლოთ მჭიდრო კავშირიდან ნამდვილ მასსიურ და ნამდვილ რევოლიუციონურ მოძრაობასთან.

თუ ბალშევიზმმა შესძლო 1917—1920 წლებში გამომუშავება და წარმატებით განხორციელება, გაუგონარ მძიმე პირობებში, უკიდურესი ცენტრალიზაციის და რკინის დისციპლინის, ამის მიზეზია მთელი რიგი რუსეთის ისტორიულ თავისებურებათა.

ერთი მხრით, ბალშევიზმი აღორძინდა 1903 წ. მარქსიზმის თეორიის უმტკიცეს ნიადაგზე, ხოლო ამ რევოლიუციურ თეორიის—და მარტო ამ თეორიის—სისწორე დაამტკიცა არა მარტო მე-19 საუკუნის მთელმა მსოფლიო გამოცდილებამ, არამედ განსაკუთრებით რუსეთში რევოლიუციონური აზროვნობის ხეტიალის და რყევის, შეცდომების და გულის აცრუების გამოცდილებამ. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, გასული საუკუნის 40-იან წლებიდან ვიდრე 90-იან წლებამდე, რუსეთის მოწინავე აზრი, გაუგონარ ველურ და რეაქციონურ ცარიზმის უღელქვეშ, ხარბათ ეძიებდა სწორ რევოლიუციონურ თეორიას, გასაოკარი გულდასმით და ყურადღებით ეგებებოდა ყოველ და თითეულ „უკანასკნელ სიტყვას“ ევროპისა და ამერიკისა ამ დარგში.

რუსეთმა ჭეშმარიტათ ტანჯვა-წვალებით დაიპყრო მარქიზმი, ეს ერთად ერთი სწორი რევოლიუციონური თეორია, მან შეითვისა ის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გაუგონარ წამებით და მსხვერპლის გაღებით, უნახავ რევოლიუციონური გმირობით, დაუჯერებელ ენერგიით და თავდადებული კვლევა-ძიებით, სწავლით, პრაქტიკაში გამოცდით, გულის აცრუებით, შემოწმებით, ევროპის გამოცდილებასთან დაპირდაპირებით. მეფის ძალადობით შექმნილ ემიგრანტების წრის წყალობით, რევოლიუციონური რუსეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ისე მჭიდროთ იყო დაკავშირებული ინტერნაციონალური ძაფებით, ისე საუცხოოთ იყო გაცნობილი რევოლიუციონური მოძრაობის მსოფლიო ფორმებსა და თეორიებთან, როგორც არც ერთი ქვეყანა დედამიწაზე.

მეორე მხრით, ასეთი თეორის სალკლდეზე დაფუძნებელმა ბალშევიზმმა მოქმედებით განვლო თავისი თუთხმეტი წლის ისტორია (1903—1917 წ.წ.), რომელსაც გამოცდილების სიმდიდრით არ შეედარება არც ერთი პარტიის ისტორია ძვეყნიერებაზე.

ვინაიდან ამ 15 წლის განმავლობაში არც ერთ ქვეყანას არ განუცდია დაახლოვებითაც კი ის, რაც განიცადა რუსეთმა: რევოლიუციონური გამოცდილება, მოძრაობის სხვა და სხვა ფორმების სწრაფი ცვლილება და მრავალფეროვანება, მოძრაობა ლეგალური და არალეგალური, მშვიდობიანი და მქუხარე, ღია და იატაკ ქვეშე, ვიწრო წრის ფარგლებში და მასსიური, პარლამენტარული და ტერორისტული. არც ერთი ქვეყანაში არ ყოფილა დაგროვილი ასეთ მოკლე დროს მანძილზე ამდენი სიძდიდრე თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასების ბრძოლის სხვა და სხვა ფორმების, მეთოდების, და მასთან ერთად ისეთი ბრძოლის, რომელიც ქვეყნის ჩამორჩენილობისა და მეფის უღლის სიმძიმის გამო განსაკუთრებული სისწრაფით მწიფდებოდა, განსაკუთრებით ხარბათ და წარმატებულათ ითვისებდა სათანადო უკანასკნელ „სიტყვას“ ამერიკისა და ევროპის პოლიტიკურ გამდცდილებიდან.

(შემდეგი იქნება)

ლატობენ და ჩვენს მხარეზე გადმოდიან. თქვენი პარტიის წევრებიო. „ერთობის“ №-170 №-ში ვინმე კიკაბიძე აცხადებს, რომ კომუნისტური პარტია დავტოვე და მენშევიკებს მივეკედლეო. და ეს იმ დროს, როცა საქართველოში კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიებია შიმართული და ბევრ მათგანს შავბნელ საკანში წლობით გამომწყვდევა მოელის; რა ღირსების უნდა იყოს ამ ვაჟბატონ ყოფილ ამხანაგის განცხადება და რა ფასი უნდა დასდვას კაცმა მისი საქციელით გახარებულ „ერთობის“ გამოსვლას.?

ჩვენ გვგონია, რომ ვერც პირველი და ვერც მისი წამქეზებელი გაზეთი თავს იმით ვერ იმართლებენ, რომ მისი „დეზერტირობა“ რწმენის და „მსოფლმხედველობის“ შესაბამოთ იყოს გამოწვეული. რა რწმენა და მსოფლ-მხედველობა უნდა მოვთხოვოთ იმ კაცს, მაგალითათ, ვინმე ირაკლი კიკაბიძეს, რომელიც კავკავში საბჭოთა მთავრობის მიერ დამყარებულ წესებს იმ საბუთით იწუნებს, რომ იქ მოსული ქართველები „ყიამდე არ გააძლეს“ და კომუნისტმა ლადო დუმბაძემ მას თვითონ ამის მომხსენებელს, ყოფილ კომუნისტს, კიკაბიძეს, რომელსაც თურმე დიდი ღვაწლი მიუძღვის კომუნისტური პარტიის წინაშე იმით, რომ რამდენიმე კვირას მეტეხის ციხეში დაჰყო, მოსასვენებელი ადგილი მოუნახა, სადაც თურმე ნოხები და ხალიჩები არ იყო მოფენილი და ბუმბულიანი ლოგინები არ იყო გამართული. ალბათ ახლა ყოველივე ეს მას მენშევიკებისგან უხვათ აქვს მინიჭებული და ამიტომ არის მათ მხარეზე. სხვა რა უნდა ვთქვათ ასეთ ელემენტებზე?!. არა, ბატონებო, ასეთი მაგალითებით კომუნისტებს გულს ვერ გაუტეხთ და ვერც დააფრთხობთ!-

ჰეშმარიტ კომუნისტს მუდამ აგონდება ძველი გამოცდილი—რევოლიუციონერი ბელადი მუშის სიტყვები: ჩვენ თავგანწირულად ვიბრძვით ბედნიერების მოახლოებისათვის, მარა სულაც არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენ თვითონ ვიყოთ უსათუოდ ამ ბედნიერების მონაწილეო.

ვისაც ეს სიტყვები დავიწყებია ის კომუნისტიც ვერ იქნება და ასეთები დღევანდელ მომენტში, რაც ადრე ჩამოგვშორდებიან მით უკეთესი, ვინაიდან ისინი პარტიაში ყოფნით თავიანთ სუსტი მერყევი ბუნების მეოხებით მტკიცე ელემენტებსაც შხამავენ. ასეთ შხამს და საწამლავს ჩვენ ადვილათ, გულის სიმშვიდით ვუთმობთ მენშევიკებს, რომ ამ მოღალატეთა მათთან მოკალათებით მათი ბანაკი დროზე გაიხრწნას.

რაუდენ კალაძე.

ინტერნაციონალის გარშემო.

ირლანდიის მუშების შეერთება მე-3 ინტერნაციონალთან.

ირლანდიის მუშათა კონგრესი შეუერთდა მე-3 ინტერნაციონალს. მან უკვე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მოსკოვში.

„პოალეი-ციონი“ და მე-3 ინტერნაციონალი.

ებრაელების სოციალისტურმა პარტიამ „პოალეი-ციონ“-მა, რომელიც თავისი მედგარი ბრძოლისათვის საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ განიცდის საშინელი დევნას პოლონეთის მთავრობისაგან, კრაკოვის უკანასკნელი ყრილობაზე გადაწყვიტა შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს.

მოსკოვისაგან აღიარებულ მე-3 ინტერნაციონალს ბევრი დაბრკოლებები ეღობება წინ, რომ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან იქონიოს მჭიდრო დაუბრკოლებრივი კავშირი.

„პოალეი-ციონი“ თავის სპეციალურ დანიშნულებათ სთვლის აღადგინოს და განავითაროს მჭიდრო რეგულიარული დამოკიდებულება რუსეთისა და დასავლეთ-ევროპის რევოლიუციონურ ძალებთან.

რუსი მუშები სამხრეთ-ამერიკაში

არგენტინიდან ჩამოსულ ამხანაგმა გადმოგვცა შემდეგი: ოქტომბრის გადატრიალებისას არგენტინაში დაარსდა „სამხრეთ-ამერიკის რუს მუშათა ორგანიზაციების ფედერაცია“, რომელიც აერთიანებდა არგენტინის, ურაგვაისა და ბრაზილიის რუს მუშებს.

ფედერაციის მიზანი იყო რევოლიუციონური პროპაგანდა და მუშათა მასების კულტურული განვითარება.

მას დიდი თანაგრძნობა აქვს მოპოვებული რუს მუშებში. ფედერაცია, რომლის კავშირში ითვლება ათი-ათასობით მუშები, თავიდანვე იდგა საბჭოების პოზიციაზე და მთელი თავისი ძალღონით ცდილობდა დახმარება გაეწია საბჭოთა რუსეთისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ის არა საკადრისი როლი, რომელიც ითამაშეს არგენტინაში რუს მენშევიკებმა.

ისინი ფებერვლის რევოლიუციის ორი-სამი თვის შემდეგ შეუთანხმდენ არგენტინაში მეფის წარმომადგენელ შტეინს და კონსულ პტაშნიკოვს. მათ რუსულ ბურჟუაზიულ კავშირთან ერთად გამოსცეს „თავისუფალი რუსეთი“ წმინდა პოგრომული ხასიათის გაზეთი შტეინებისა და პტაშნიკოვების რეკლამით.

„ფედერაციამ“ ბოიკოტი გამოუცხადა, როგორც გაზეთს, ისე მის თანამშრომლებს, რის წყალობით გაზეთი სრულიად არ ვრცელდებოდა, აგზავნიდენ მხოლოდ მისიებში და საკონსულოებში. ამ წლის დასაწყისს გაზეთმა შესწყვიტა არსებობა

რაც შეეხება ადგილობრივ მუშებს, მათ შორის იზრდება უკმაყოფილება არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ. ხშირია გაფიცვებიც.

მუშები მთელი არსებით თანაუგრძნობენ რუსეთის რევოლიუციას, ძლიერ კარგ განწყობილებაში არიან რუს-მუშებთან, რომლებსაც სთვლიან მუშათა კლასის მოწინავე მებრძოლებათ.

„რუს-მუშათა ორგანიზაციების ფედერაციის“ გარდა, იქ არსებობს ადგილობრივი მუშების ორი ორგანიზაცია: მე-5 კონგრესის ფედერაცია (კომუნისტური) და მე-9 კონგრესის ფედერაცია (მემარჯვენე სოციალისტური“). „მე-5 კონგრესის ფედერაცია“ მუშაობს რუს-მუშებთან ერთად.

რუსთა მე-5 კონგრესის ფედერაციების კომიტეტებმა კომუნისტური ჯგუფებთან ერთად მთავრობის რეპრესიების შემდეგ დაიწყეს მზადება შეიარაღებულ აჯანყებისათვის.

არგენტინის კატორგაში 1909 წლიდან იმყოფება რუსი ამხ. რადოვიესკი, რომელმაც მოჰკლა 1908 წ. პირველ მაისის მანიფესტანტების დახვრეტით ცნობილი პოლიციის დეპარტამენტის უფროსი. რადოვიესკის მცირე-წლოვანობის (მაშინ 17 წლის იყო) გამო მიუსაჯეს „მხოლოდ“ 25 წლის კატორგა. წასულ წელს ორივე ფედერაციის დახმარებით რადოვიესკიმ მოახერა კატორღიდან გაქცევა, მაგრამ ჩილის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ის დაატყვევეს და გადასცეს არგენტინის მთავრობას.

რადოვიესკის ახლა ჭლექი ჭირს, რომელიც უკვე მეორე სტადიაში გადავიდა.

ბრიტანიის კომუნ. პარტია

ლონდონი. 17 ივლ. „დეილი გეროლდის“ ცნობით შესდგა კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილ იყვნენ: მუშათა სოციალისტური ფედერაცია ყველა თავისი სექციებით, მანჩესტერის საბჭო, სტეფანის სოციალისტური ლიგა და ბევრი სხვ. კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა ბრიტანიის კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციას (მესამე ინტერნაციონალის ბრიტანიის სექცია). მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია: „ჩვენი რევოლიუციონური კომუნისტები, კომუნისტურ ორგანიზაციების დელეგატები და ცალკე პირები ვცნობთ მესამე ინტერნაციონალს, პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას და საბჭოების ორგანიზაციას! არ შევდივართ მუშათა პარტიაში, არ ვცნობთ პარლამენტარულ ბრძოლას და არავითარ მონაწილეობას აგვისტოს კონფერენციის მოწყობაში და მუშაობაში არ მივიღებთ“. პარტიის ოფიციალურ ორგანოთ გამოცხადებულია ყოველ-კვირეული: „ლებურ დრედნოუტი“, მის რედაქტორ-გამომცემელად ხილვია პანკრესტი.

გიულეტენი პრესგიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

საბჭოთა რუსეთში,

ამხ. გაის ცხენოსანი ჯარი.

მოსკოვი, 31 ივლისი. პოლონეთის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში დიდ როლს თამაშობს გაის ცხენოსანი კორპუსი. ფრონტზე მოსვლის რამოდენიმე დღის შემდეგ ის პირველათ გადავიდა შეტევაზე პოლონელების წინააღმდეგ, გაარღვია ფრონტი, შემოუარა ზურგიდან და შიშის ზარი დასცა თეთრ პოლონელ ჯარებს. პოლონელი ჯარები ვერავითარ წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებდა. ზარ-დაცემული პოლონელების ჯარები უთავ-ბოლოთ გარბოდენ. მათ მიერეკებოდა ამხ. გაის სახელოვანი ცხენოსანი ჯარი.

ხიდის შეკეთება.

ცარიცინი, 23 ივლისი. ცარიცინის რკინის გზის ხიდი, რომელიც თეთრებმა ააფეთქეს იანვარში უკვე შეკეთებულია და დაიწყო და დღეს უკვე გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა.

სტამბოლის პრესის მდგომარეობა.

ანგორა, 19 ივლისი. სტამბოლის პრესა დიდ შევიწროებას განიცდის. გაზეთი „ახბამი“ დახურულ იქნა წერილისათვის: „ახალი ემიგრაცია“.

ბუდიონის ცხენოსანთა ბრწყინვალე გამარჯვებები.

ნაუენი, 31 ივლისი. რუსის ცხენოსანი ჯარი გადავიდა ლიტვის საზღვარზე, გარს შემოერტყა ქ. გროდნოს, გაარღვია პოლონეთის ჩრდილოეთის ფრონტი, მოექცა პოლონელებს ზურგში და დაიკავა სიმაგრე ოასოვეცი. ბუდიონის კაზაკების დიდსა და მოულოდნელ გამარჯვებებს ადასტურებენ თვით ამ ბრძოლის მონაწილენი.

პოლონელებმა დაკარგეს მთელი პოლკები და არმიის ნაწილები. შიშით ზარდაცემული პოლონელების ჯარი სტოვებს ყველაფერს და გარბის. ფიქრობენ, რომ ბალშევიკები შესძლებენ განდევნონ დამარცხებული პოლონელების ჯარი თვით ვარშავამდის. სამხედრო მცოდნე პირები (ექსპერტები) ადარებენ ბუდიონის ცხენოსან ჯარის ოპერაციებს, ამერიკის სახელოვან ცხენოსან ჯარის ოპერაციებს სამოქალაქო ომში.

თუ რუსებმა შესძლეს ოსოვეცის შენარჩუნება, ვიდრე ქვეითა ჯარი მოვიდოდეს, მაშინ ისინი შესძლებენ დაიკავონ ლომჟა უბრძოლველათ. ამ შემთხვევაში პოლონელები იძულებული იქნებიან დაიხიონ მდ. ნარიოვიდან თვით ვარშავამდის.

ვარშავის დაკავებით რუსები შესძლებენ უფრო იოლათ ებრძოლონ ფრანგებს და ინგლისელებს დიპლომატიურ ბრძოლის სარბიელზედ.

კამენევის გამარჯვება ბრძოლის ველზე ამზადებს ჩიჩერინის გამარჯვებას დიპლომატიურ ფრონტზე.

ბაქო, 27 ივლისი, საბჭოთა რუსეთში კროვნოს მუშებმა დაადგინეს გადასდვან სამი დღის ხელფასი გაფიცულ პოლონელ ამხანაგების სასარგებლოთ.

ჩვენი შეტევა შრომის ფრონტზე.

მოსკოვი, 22 ივლისი. სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ყველა უბნებში ივნისის განმავლობაში შეაკეთეს 149 ორთქლმავალი. ცნობები არ არის მიღებული ჯერ კიდევ ორ უბნიდან.

ნავთსადენი.

სარატოვი, 23 ივლისი. იწყებენ გრანდიოზულ ნავთსადენის გაკეთებას ნავთიანი ადგილებიდან ქ. სარატოვამდე. მუშაობა ახლო მომავალში დაიწყება. მართველობა უკვე გახსნილია სარატოვში.

ომი ირლანდიაში.

მოსკოვი, 31 ივლისი. ინგლისელების ჯარები დიდ სამხედრო მზადებაში არიან, რათა შეინარჩუნონ იგლისელების უკანასკნელი სიმაგრე ირლანდიაში.

ჩრდილოეთის საგრაფო ოლსტერში ყოველ დღე იგზავნებოდა ჯარები სხვა და სხვა იარაღით.

ინგლისელებმა ძლიერ გაამაგრეს ყველა სტრატეგიული პუნქტები ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით.

რუმინიის რწმუნება.

მოსკოვი, ივლისი. რუმინიის მთავრობა აცხადებს, რომ მას არა აქვს აზრათ თავს დაესხას რუსეთს. ის აცხადებს, რომ მათსა და პოლონეთს შორის არავითარი საიდუმლო სამხედრო კავშირი არ არარსებობს.

მუსტაფა ქემალის შტაბის ოპერატიული ცნობა.

ანგარა, 26 ივლისი. (ოფიციალურად) **დასავლეთის ფრონტი.** 24 ივლისს ბრუსის აღმოსავლეთით ჩვენ მზვერავებს შეტაკება მოუხდათ მტერთან კორდორს მიდამოებში. მტერმა 3 კაცი დაკარგა და იძულებული შეიქნა დაეტოვებია სოფელი კუზლუ.

აღმოსავლეთის ფრონტი, სოფელ ჩინის სამხრეთ-აღმოსავლეთით სომურმა ბანდებმა ჩვენ შეტაკების დროს დაკარგეს 9 კაცი.

ადანის მიმართულებით ფრანგები მიიმალენ გამგრეულ ოსანე'ში და ტაპრაკანეში. მტრის სიმაგრეები ოქჩე-კიუნლუში ჩვენი ეცხლშია გახვეული.

დეპუტატ-სოციალისტის დატუსაღება.

ოდესა, 20 ივლისი. „ჩერნოვიცერ მორკენბლატის“ ცნობით დაუტუსაღებიათ ბუხარესტში მიმავალი სოციალისტი დეპუტატი დონოსი.

სიტყვიდან საქმეზე.

ქრისტიანია, 22 ივლისი. მუშათა კონფერენციაზე სკორბორში პარლამენტის წევრმა პოლკოვნიკ მალონმა ბრიტანიის სოციალისტურ პარტიის სახელით, სხვათა შორის განაცხადა, რომ ქაღალდზე რევოლიუციებით და პარლამენტში პროტესტებით ვერ აღწევენ მიზანს და სისხლისღვრა გაგრძელდება მანამდის, სანამ მუშები არ გადასწყვეტენ გადავიდენ სიტყვიტან საქმეზე.

ამხ. პლატენის განთავისუფლება.

მოსკოვი, 21 ივლისი. „მსოფლიოს მეტად ძველ დემოკრ.-რესპ“. შვეიცარიაში დაბრუნებისას დატუსაღებული ამხ. პლატენი მთავარ სამაზრო მსაჯულის განკარგულებით განთავისუფლებულია 50.000 ფრანკის გირაოს ქვეშ. გირაო შეიტანა ერთმა მისმა პარტიულმა მეგობარმა.

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო ოპერატ. რადიოს-ცნობა
1 აგვისტო

პოლონეთის ფრონტზე,

ლომჟინის მიმართულებით 31 ივლ. ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას მდ. ბობრისა და ნარევის გასწვრივ.

ბელოვეჟის უდაბურ ტყის რაიონში წითელმა ჯარმა დაიკავა სადგ. ბელოვეჟი. ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი.

კობრინის ჩრდილო - აღმოსავლეთით ჩვენებმა დასძლიეს მტრის სასტიკი წინაღმდეგობა და დაიკავეს სოფლების მთელი რიგი. ხელთ ვიგდეთ მტრის ბატარეია მთელი მოწყობილობით.

კოველის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მიაღწიეს მდ. სტოხოდამდის. დაკავებულია სარნი-კოველის რკინის გზის ორივე მხარე.

ლუცკის მახლობლად მტერი ცდილობს დაიკავოს მდ. სტირზე გადასასვლელი. მათი ცდა უნაყოფო გამოდგა.

ტარნოპოლთან გრძელდება ბრძოლები ჩვენი ჯარების სასარგებლოთ.

ყირიმის ფრონტი

ყირიმის ფრონტზე გრძელდება ბრძოლა ფრონტის ძველ ხაზზე.

ბაქო, 31 ივლისი. ენზელიდან 31 ივლისის თარიღით მიღებულია რადიო:

კუჩუკ-ხანის დროებითმა მთავრობამ ვერ შესძლო ეხელმძღვანელებია სპარსეთის-რევოლიუციონურ მოძრაობისთვის. მან ვერ შესძლო სასტიკი ომი ეწარმოებია ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

31 ივლისს ღამით კომუნისტებმა ყოფილი მთავრობის მემარცხენე ნაწილთან ერთად რევოლიუციონურ ჯარებისა და შეიარაღებულ მუშების მეთაურობით ხელთ იგდეს ძალა-უფლება.

შესდგა ირანის დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი, რომელშიც შედიან 8 კომუნისტი და მემარცხენე რევოლიუციონერებ-ნაროდნიკები.

უმრავლესობა ძველი მთავრობის მომხრეებისა გაიქცა.

ენზელში და რეშტში დაარსდა რევკომები (რევოლიუციონური კომიტეტები).

გილიანში სრული რევოლიუციონური წესრიგია. ფრონტი მაგრად სდგას.

გრძელდება შეტევა ინგლისელებისა და შაჰის ბრბოების წინააღმდეგ.

ახალი ამბები

„მუშათა დელეგაციის“ გაგზავნა რუსეთში.

30 ივლისს, გაიხსნა საქართველოს პროფეს. კავშირთა საბჭოს წევრთა და პროვინციალურ საბჭოთა წარმომადგენელების კონფერენცია. დაესწრო 30-ზე მეტი დელეგატი. აღმ. კომიტეტის სახელით კრება გახსნა თავმჯდომარის ამხანაგმა ალ. ხელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ კონფერენციის წინაშე სდგას ერთი მთავარი კითხვა: საქართველოს მუშათა კლასის დელეგაციის არჩევა და გაგზავნა საბჭოთა რუსეთში.

კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ქუთაისის საბჭოს წარმომად. ტუსკია.

კრებამ დელეგატების საერთო რიცხვი 15 მდე აიყვანა. შემდეგ არჩეულ იქმნა კანდიდატები. დელეგაციის შემადგენელობის საბოლოოდ გამომუშავება შემდეგი სხდომებისთვის გადაიოდო.

დელეგატებათ არჩეულნი არიან: 1) ალ. დგებუაძე, 2) ვლ. მგელაძე, 3) პავ. ბერიშვილი, 4) ერ. ტოროტაძე, 5) გაჩეჩილაძე, 6) ვ. ცენტერაძე, 7) ასათიანი, 8) შუბაშვილი, 9) ლევაშკევიჩი, 10) კაიტაჯიანცი,, 11) გენძეხაძე: კანდიდატებათ: 1) ფარქოსაძე, 2) პატარიძე, 3) ჭიქაშუა, 4) ამაშუყელი, მდივნებათ: 1) გოლდმანი, 2) ლ. რუხაძე. გარდა ამისა, დატოვებულია ესერებისთვის და დაშნაკელებისთვის თითო ალაგი, „გლეხებისთვის=2.

სოფელი და მიწის მუშა.

საზღვარგარეთ

პროპაგანდა სოფლად საფრანგეთში.

უკანასკნელ დროს „ჰუმანიტე“ აწარმოებს ენერგიულ კომპანიას, რათა გაძლიერებულ იქნას სოციალისტური პროპაგანდა სოფლათ. გაზეთი აღნიშნავს რომ ამ დარგში ძლიერ ცოტაა გაკეთებული. ის ამბობს, „რომ დროა პარტიულ მუშაკებმა დაფიქრდენ ასეთი უყურადღებობის შედეგებზე. აუცილებლად საჭიროა მოეწყოს სოფლად პროპაგანდის დღეები. მარტო შაბათობით და კვირა დღეებში ეწყობა ქალაქებში ასობით მუშათა მიტინგები. ნაწილი ჩვენი ძალებისა უნდა გადავიტანოთ სოფლათ, რომ დავსძლიოთ წინააღმდეგობა და გულცივობა გლეხთა მასსების, რომლებზედაც შეიძლება დაეყრდნოს რეაქცია.

ამ საკითხს სტატიებისა მთელი რიგი უძღვნა მარსელ კაშენმა. მან აღნიშნა სოფლად პარტიული მუშაობის სიძნელე პარტიულ ორგანოების უქონლობის გამო, რომლითაც შეიძლებოდა ბრძოლა გაეწარმოებია პროფინციის რეაქციონურ პრესის წინააღმდეგო. კაშენი მოუწოდებს ამხანაგებს აწარმოონ ზეპირი პროპაგანდა სოფლად.

ის ამბობს, რომ გლეხების ვონებრივი დაქვეითება არის ერთი დამაბრკოლებელ ფაკტორთაგანი ყველგან.

ამან ცოტათ იჩინა თავი უნგრეთში, ბავარიაში და რუსეთშიაცა კი ამბობს ის.

კ. მორელი ხაზგასმით ამბობს, რომ წარმოსადგენელია მტკიცე სოციალისტური გადატრიალება თუ გლეხობამ მხარი არ დაუჭირა, ან ნეიტრალიტეტი მაინც არ დაიცვა.“ კერძოთ საფრანგეთში როგორც მიწათ მოქმედების ქვეყანაში, არ შეიძლება სოციალიზმი განხორციელდეს მარტო პროლეტარიატის ძალებით.

სოციალიზმი განხორციელდება გლეხებთან-ერთად და გლეხებისათვის.

მართალია სოციალიზმი პოულობს მომხრეებს თვით მიყრუებულ კუთხეებშიაც-კი მაგრამ საფრანგეთის სოფლების საცოდვარ მესაკუთრეს მაინც აფრთხობს სოციალური გადატრიალება.

მას ვერ წარმოუდგენია კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა რევოლიუცია გაიმარჯვებს და გამაგრდება—უმატებს გაზ. „იუმანიტე, თუ ის დაამარცხებს და გადალახავს გლეხთა უნდობლობას, რომელმაც დაღუპა მრავალი პოლიტიკური რეჟიმებიო.

ბოგანოების გაფიცვა პოზნანში.

მიუხედავათ იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირმა ხელშეკრულება დასდევს მწარმოებელ მიწადმფლობელების კავშირთან პოზნანში, მაინც იფეთქა ბოგანოების გაფიცვამ.

მიწის მუშათა კავშირის ყრილობის რეზოლიუცია.

პეტერბურგის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო მუშათა და მოსამსახურეთა კავშირის მესამე ყრილობამ მოისმინა რა გუბერნიის სამიწო განყოფილების მოხსენება ერთხმათ დაადგინა:

1) მთელი თავისი ძალღონით მხარდაუჭიროს სამიწო პოლიტიკას, რომელსაც ატარებს საბჭოთა მთავრობა, დრომელიც მიმართულია სოფლად სოციალ

ლისტური მეწყად მოქმედების განვითარების მხრისაკენ მშრომელ მასების ინტერესებისთვის.

2) მოუწოდონ სასოფლო-სამეურნეო მუშებს და მოსამსახურეებს ასწიონ შრომის ნაყოფიერობა და დისციპლინა და მთელი ძალღონე იხმარონ წარმოების აღსადგენათ.

გლეხების აჯანყებები.

მონარქიის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობასთან ერთად, რომელსაც ადგილი ქონდა ქ. ბელგრადში და ძველ სერბიაში იფეთქა გლეხების აჯანყებამ ბოსნია და გერცოგოვინაში, რომელიც მთავრობის სასტიკი ზომებით ჩაქრობილ იქნა.

სობჭოთა რუსეთში

სასოფლო კომუნები.

ძველ რუსში (ნოვგოროდის გუბერნია) შესდგა სასოფლო-სამეურნეო კომუნისტურ არტელების სამაზრო ყრილობა. ვითარდება მეურნეობის წარმოება კომუნალურ ნიადაგზე. კომუნაში შევიდა 240 გლეხი.

კომუნები და არტელები.

სასოფლო-სამეურნეო არტელების რიცხვი სწრაფად იზრდება. ლაბინსკის განყოფილებაში ხელახლა დამტკიცებულია 18 კომუნა. სტანიცებში: მიხაილოვსკაში, ნოვო-ალექსანდროვსკაში, კრიკოროპოლიისგაში, ვასლავეკში, ურუპსკაში, ყურგანში, ნოვომიგაილოვსკაში, პოპუტანაში, სოფლებში: გულკევიჩში, ოგრადოში, ოლგინსკაში, კავანეზში და ქალაქ არმავირში კომუნები აერთიანებენ 732 კომლს, რომელიც შესდგება 8.782 სულისაგან.

კოლექტიური სასოფლო-მეურნეობა.

ფსკოვის გუბერნიაში მიმდინარე წელს მოეწყო 77 ახალი კოლექტიური მეურნეობა, ესე იგი უკანასკნელ ხანებში მათი რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა.

დეპეშები

მოსკოვი. სამხედრო ცნობებიდან, აგვისტო. ტომაჟის რაიონ. ბრძოლა გრძელდება. ბელოსტოკის დასავლეთით ჩვენ გადავედით ნარევზე, მტრის დევნას განვაგრძობთ. ბელსკის დასავლეთით ჩვენი ჯარები გადავიდნენ მდინარე ბუგზე სხვა და სხვა ადგილას. ბროდსკის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ ბუსკის ჩრდილოეთით წინ წაიწია. ჩერტოვის რაიონში ჩვენ შეტევას განვაგრძობთ.

ფრანგი დელეგატები მესამე ინტ. კონგრესზე.

საფრანგეთის მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესის წარმომადგენლებმა კაშენმა და ფროსარმა კონგრესს განცხადება გაუკეთეს ევროპის სოციალისტურ პარტიების მესამე ინტერნაციონალში შესვლის შესახებ. საფრანგეთში დაბრუნებისას ვაცნობთ მუშებს თქვენი პირობების შესახებ და გეტყვით, რომ მათ უარი სთქვან კონტრ-რევოლიუციენერებისათვის, ამუნიციისა და სამხედრო იარაღის გაგზავნაზე. იმ ჯარებს შორის, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა რესპუბლიკებთან, გავწევთ პროპაგანდას, რომ ისინი ამ ბრძოლაში არ ჩაერიონ; ამასთანავე დავიწყებთ აქტიურ კამპანიას რუსეთის რევოლიუციის მდგომარეობის საკითხის შესახებ და ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

საზავო მოლაპარაკება ფინეთთან.

ორი კვირის შეწყვეტის შემდეგ ივლისის 28 შესდგა კონფერენციის სხდომა.

ახალი რადიო-სადგური.

გადაწყდა გამოინახოს ზომები მომავალში მშვიდობიან მდგომარეობის განსამტკიცებლთ. გამოაქვეყნეს თავდაცვის საბჭოს დეკრეტი მოსკოვის რაიონში რადიო-სადგურის მოწყობის შესახებ, რათა ამგვარად უზრუნველყოფილი იქნეს ამერიკასთან მუდმივი დამოკიდებულება.

ამ მიზნით ამოირჩიეს სახელმწიფო სადგურ-შატუროვსკაიოს რაიონი. გადაწყდა აღადგინონ დეტსკო-სელსკაიას რადიო-სადგური ევროპის ყველა რადიო-სადგურებთან დამოკიდებულების აღსადგენათ.

მუშათა ცხოვრება.

ჩვენში

თბილისის პროფესიონალური საბჭო და უმუშევარნი.

თვითეულ ადამიანს აქვს თავისი რწმენა. შეგნებული ადამიანი არასოდეს არ ულალატებს, თუ გინდ ჯვარზედაც რომ აცვათ. ეს მშვენივრად იციან ბ. მენშევიკებმა და მაინც არ იშლიან ძალით მორჯულებას. ჩვენ „სოციალისტებს“ ავიწყდებათ, რომ ამ საშუალებით ისინი ვერას გახდებიან: მით უფრო ადრე გამოეცვლებათ ფეხქვეშ ნიადაგი, რაც უფრო ხშირად იხმარენ თავიანთ ბრძოლის მეთოდს ჩვენს წინააღმდეგ.

ცნობილმა „თეორეტიკოსმა“ დევდარიანმა ერთხანს ბრაზმორეულ, შეშინებულ ლეკვივით დიდხანს უყეფა საბჭოთა რუსეთს და როცა აქაც შეუტიეს, კუდამოძუებული მიიმალა პროფესიონალური საბჭოთა შენობაში, საიდანაც განაგრძობს კომუნისტებთან ბრძოლას.

ამ შენობაში მოკალათებული არიან მენშევიკების „გმირები“, რომელნიც ცნობილნი არიან მუშათა კავშირების ნგრევით, პროვოკაციული ხრიკებით და სხვა მრავალით. ეს ვაჟბატონები სულ იმას გაიძახიან, რომ პროფესიონალურ მოძრაობაში პოლიტიკას და პარტიობას ადგილი არ უნდა ჰქონდესო. მაგრამ მათი სიცრუე ისე აშკარაა, რომ გულუბრყვილო მუშაც კი არ დაუჯერებს.

ამას წინათ რკინის გზიდან ბევრი მუშა-მოსამსახურე დაითხოვეს, რასაკვირველია, როგორც კომუნისტები, ზოგი მათგანი იძულებული იყო დაეტოვებია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები, ზოგმაც აქ სცადა დაბინავება.

აი ერთი მუშათაგანი მიდის დევდარიან-ხელაძის საბრძანებელში ადგილის სათხოვნელათ. მას მოსთხოვეს პარტიული (მენშევიკების) წიგნაკი და როცა მთხოვნელს ის არ აღმოაჩნდა, უთხრეს: „მაშ შენ კომუნისტი ყოფილხარ, ამიტომ ადგილს ვერ მიიღებთო“. სწორედ ისე, როგორც ნიკოლოზის დროს: Православный? свидѣтельство о благонадлежности имеете? გკითხავდენ. როცა ადგილის სათხოვნელად მიხვიდოდით რომელიმე დაწესებულებაში.

აქაც სწორედ ასეა დღეს.

ობოლა.

საზღვარ-გარეთ

ინგლისის ტრედ-უნიონების საგანგებო კონგრესი.

ინგლისის რკინის გზელთა, მაღაროს და ტრანსპორტის მუშების „სამთა კავშირის „აღმასრულებელმა კომიტეტმა გადმოიტანა დადგენილება, ეთხოვოს პარლამენტის ტრედ-უნიონისტების კონგრესის კომიტეტს, რაც შეიძლება ჩქარა მოიწვიოს ტრედ-უნიონების საგანგებო კონგრესი, რათა გამორკვეულ იქმნას კითხვა ბრიტანიის მუშების ურთიერთობის სამხედრო იარაღების დამზადებასთან და გადაზიდვასთან, ირლანდიასა და პოლონეთში.

წინდების მქსოველთა გაფიცვა ჩინეთში.

შორეულ აღმოსავლეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით, შანხაიში ხდებოდა წინდების მქსოველ ფაბრიკის მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე.

ჩინეთის მტვირთავთა მოთხოვნილება.

ჩინეთის მტვირთავები, რომლებიც მუშაობენ ქ. შანხაის საწყობებში და ვერფებში, წამოაყენეს მოთხოვნილება სამუშაო ქირის გადიდების შესახებ.

პროვინციის ცხოვრება

წერილი ბათომიდან.

ბათუმელებს შეიძლება მიულოცოთ:

ყოველივე ნიშნებია იმისი, რომ მათთვის იწყება დიდი რეფორმების ხანა. უკვე დაარსდა შრომის კომისარიატი, განზრახულია საავადმყოფო კასების დაარსება, მომრიგებელი კამერის და შრომის ბირჟის რეორგანიზაცია და როგორც ყველა ამის დაგვირგვინება დაარსება ეგრეთ წოდებული „მუშათა მაგიდისა“.

უკანასკნელ რეფორმას აუცილებლივ თან მოყვება სერიოზული შედეგები ბათუმის მუშებისათვის.

საქმე იმაშია რომ, როგორც ეს კარგად იციან თბილისის მუშებმა, „მუშების მაგიდა“ არის მენშევიკების მახვილი ჭკუაგონების ერთი საუკეთესო გამოგონებათაგანი, რომლის წყალობით ყოვლად მოულოდნელათ იკვეთება მუშათა ხელფასი, ეს ხდება უბრალოთ.

როდესაც აუტანელი სიძვირე იძულებულს ხდის მუშებს მოითხოვოს ხელფასის მომატება, „მუშათა მაგიდა“ მაშინვე ასუსტებს მათ სხვადასხვა შეპირებებით როგორც მაგ. იაფ-ფასებში სანოვაგის მიწოდება და სხვა. შედეგი ამ დაპირებების არის დღეში ნახევარი გირვანქა ზედმეტი პური. და... ერთი კარობკა სპიჩკა თვეში. ვინ იგებს და ვინ აგებს ამითი ეს ყველასათვის ცხადია.

ბათუმის მუშების მჭიდრო შეკავშირებისა და მათი პროფესიონალური კავშირების გაბედული პოლიტიკის წყალობით (რომელთაც მეთაურობდა ძველი საბჭო და რომელიც შემდეგ დაარბია ინგლისელებმა) ბათუმის მუშების ხელფასი ბევრათ მეტია, ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქების მუშათა ხელფასი. აქ ნომინალური ხელფასი 3—4 ჯერ მეტია ვიდრე ტფილისში, **რეალური ხელფასი კი**—ორჯერ მეტი.

ბათუმის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ არ შეიძლება ასეთი მდგომარეობა გაგრძელდეს. ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს რეალური ხელფასის გათანასწორება.

ასეთი გათანასწორება უნდა მოხდეს ან საქართველოს სხვა ადგილებში ხელფასის მომატებით ან და ბათუმში ხელფასის დაკლებით. თავისთავად ცხადია, არჩეული იქნება მეორე გზა, გზა ბათომის მუშების ხელფასის დაკლებისა. ცხადია ამ გზით მოხდება შეტაკება მუშების სერიოზულ უკმაყოფილებასთან. აი სწორედ აქ იქნება საჭირო „მუშათა მაგიდა“. ასეთი „რეფორმა“ ცხადია გატარებული იქნება ახლო-მომავალში, რადგან სხვა გზა მენშევიკებს არა აქვთ, იმ პოლიტიკის წყალობით მუშათა საკითხში, რომელიც არის ქვა-კუთხედი მათი „სახელმწიფოს აღმშენებლობაში“. ჯერ-ჯერობით ხდება მხოლოდ მომზადებული მუშაობა ამ „დიად რეფორმის“ ცხოვრებაში გასატარებლად.

ყველა პროფესიონალური კავშირებს დავალებული აქვთ თავიანთი წევრები ხელახლა ჩასწერონ, რომ გამოარკვიონ „მუშათა მაგიდის“ კლიენტების რიცხვი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი რეფორმისტული მოქმედებით რასაკვირველია არ ჩამორჩება შრომის სამინისტროს.

უპირველესი მისი მიზანი იქნება სხვა და სხვა დემოკრატიული თავისუფლებების განსახორციელება. ამ მიზნით ბათუმში უკვე გამოცხადდა სამხედრო წესები. როგორც ამბობენ სტამბის მეპატრონეებისათვის ჩამოურთმევიათ ხელწერილი, რომ ისინი არ დაბეჭდავენ არაფერს, არც მემარცხენე და არც მემარჯვენე მიმართულებისას.

ბათუმის ადმინისტრაციის ერთი პირველ ნაბიჯთაგანი იყო „ნაშ კრაის“ (მშვიდობა მის ნეშთს) დაკეტვა და მისი რედაქტორის დატუსაღება.

ამან, რასაკვირველია, დიდი უსიამოვნება მიაყენა ადგილობრივ რეაქციონერებს. მაგრამ „წმიდა ადგილი ცალიერი არ იქნება“ და ამ ტრაღიკულათ დაღუპულ გაზეთის მაგივრათ გამოვიდა ორი ახალი „დემოკრატიული“ ორგანოები: „ბათუმის ცხოვრება“ და „ბათუმის გამოძახილი“. ეს ორგანოები უკლებლივ ავსებენ მის წინამორბედ ორგანოს დატოვებულ ადგილს. ამით საშუალება ეძლევათ ბათუმის აგარაკებში მცხოვრებ მრავალ რიცხოვან დენიკინელებს გული დაიმშვიდონ და გემრიელ სადილის შემდეგ ყურთა სმენა დაიტკბონ. მათი კითხვით, ეს გაზეთები ყოველ დღე ეწევიან ბალშევიკების ლანძღვა გინებას. ამ საქმეში პირველობას იჩემებს გაზ. „ბათუმის ცხოვრება“, რომელიც საუკეთესო დემოკრატიული მეთოდით ამზადებს ბალშევიკების საწინააღმდეგო „სიეოროტკას“. ამ „ორგანოს“ სათავეში უდგას აიოლო, რომელმაც ძლივს მიაღწია მიზანს—საქართველოსთან ბათუმის შემოერთებას—და ცდილობს რაც შეიძლება საიმედოთ მოიდგას ფეხი ამ ადგილას.

ბათუმელი.

სომხეთის ამბები.

სომხეთიდან ჩამოსული ოფიცერი დაშნაკელების სიმხეცეზე კომუნისტების წინააღმდეგ გადმოგვცემს შემდეგს: „ივლისის პირველ რიცხვებში ერივანში ჩამოიყვანეს სომხეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან 15 კომუნისტი. ყველა ისინი გაგზავნეს კატორღაში კუნძულ სევანზე. მთავრობისაგან წინასწარ იყო ნაბრძანები ყველანი დაეღრჩოთ სევანის ტბაში. ეს მხეცური ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი კუნძულზე მიყვანის პირველ დღესვე.

ამ ამბავს მოგვითხრობენ სოფელ ცამოკაბერდის მცხოვრებნი. ასეთი უმგვანო არა ადამიანური მოქმედების შემდეგ ეს „კაცთ-მოყვარეობის“ მქადაგებელი ყვითელი ორგანოები „არაჩი“ და „აშხატავორი“ გაიძახიან რომ არსად ისე თავისუფლად არ ცხოვრობენ კომუნისტები როგორც სომხეთში, რომ იქ არ ყოფილა არცერთი შემთხვევა კომუნისტის დახვრეტისა. თუ სადმე კი იყო სომხეთში ასეთი შემთხვევა ეს ხდებოდა მთავრობის გაუგებრათ. ნუ თუ ამ კომუნისტების დახვრეტაც მთავრობის „გაუგებრად“ მოხდა?

კომუნისტების დევნა გრძელდება.

დაიწყო ჭიათურაშიაც დევნა კომუნისტების. 28 ივლისს ღამით დაატუსაღეს ამხ. გალაქტიონ ვაშაძე, სეფე ჭეიშვილი, ალექსანდრე კოტრიკაძე, კოწია ვაშაძე და გიორგი ბოდოკია. მეორე დღეს მათ მიუმატეს ამხ. ვალოდია ხარაიძე; ეძებენ ამხ. ვალიკო კუპატაძეს, რომელიც სახლში არ აღმოჩნდა. დატყვევებულთა კითხვაზე თუ რისთვის დაიჭირეს, უპასუხებენ: ეს ჩვენი „სეკრეტია“ და არ გეტყვითო. ბიურო გაჩხრიკეს და რაც ნახეს წაიღეს. დევნა გრძელდება.

—ძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზდობის კომუნისტურ კავშირის ყველა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო! საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზდობის კომუნისტურ კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმათ, ამა წლის აგვისტოს დამლევს, ქ. თბილისში მოხდება საქართველოს მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის ყრილობა.

ათი თვის წინად ქ. ბაქოში არალეგალურად მოხდა პირველი ყრილობა კავკასიაში არსებულ ახალგაზდათა ორგანიზაციებისა; მაშინ ჩვენი ორგანიზაციები ახალი წარმოშობილი იყვნენ და აერთებდენ რამდენიმე ასეულ ახალგაზრდა მუშას და გლეხს, მაგრამ ბაქოს ყრილობამ ითამაშა გადამჭრელი როლი კავკასიის პროლეტარულ ახალგაზრდობის გაერთიანება-შეკავშირებაში; სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩვენ იძულებული გავხდით ჩამოვშორებოდით ჩვენ კავკასიელ ამხანაგებს და საქართველოს ფარგლებით განგვესაზღვრა ჩვენი მუშაობა, და აი ათი თვის არა-ლეგალურ აუტანელ პირობებში მუშაობის შემდეგ ჩვენი ორგანიზაცია საქართველოში წარმოადგენს ძლიერ კავშირს, რომელიც რამდენიმე ათას შეგნებულ ახალგაზრდა მუშას და გლეხს აერთებს. ახლა საქართველოში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც ჩვენი ორგანიზაცია არ არსებობდეს, ჩვენმა კავშირმა უკვე ღრმათ გაიდგა ფესვები საქართველოში და მისი ზრდა-განვითარება ვერავითარი რეპრესიები ვერ შეაჩერებს და შეაფერხებს. ჩვენი ორგანიზაციის გარშემო შემოკრბა შეგნებული მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა, და აი აგვისტოს დამლევს ყრილობით უნდა დაგვირგვინდეს ჩვენი ათი თვის ნამუშავარი.

ყველა თქვენთაგანმა იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ყრილობას საქართველოს პროლეტარულ ახალგაზდობისათვის, ჩვენ ამ ყრილობაზე ხმა მაღლა უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა, აზერბაიჯანის რევოლიუცონ. მუშებთან და გლეხებთან ერთად შევდივართ კომუნისტურ ინტერნაციონალში, ინტერნაციონალში, რომელიც შეურიგებელ, პირდაპირ ბრძოლას აწარმოებს მსოფლიო მყვლეფელების წინააღმდეგ. ჩვენ, საქართველოს კომუნისტური ახალგაზდობა, ჩვენ უფროს ამხანაგებთან—კომუნისტური პარტიასთან ერთად ვიბრძოლებთ იმ დიადი მიზნებისათვის, რისთვისაც აგერ სამი წელი იბრძვის რუსეთის ძლევა-მოსილი რევოლიუციონური პროლეტარიატი. ჩვენ ამ ყრილობაზე უნდა დაეუმტკიცოთ ყველა ჩვენს მტრებს, რომ **საქართველოს კომუნისტურ ახალგაზდობის კავშირს უფლება აქვს ილაპარაკოს საქართველოს ახალგაზდა მუშებისა და გლეხების სახელით.**

ამხანაგებო, ახლა თქვენზეა დამოკიდებული ამ ყრილობის სასახელოთ ჩატარება. თქვენ გაათკეცებულ ენერგიით უნდა შეუდგეთ ორგანიზაციულ მუშაობას.

მაშ ემზადეთ ყრილობისათვის.

ყრილობაზე 50 წევრი აგზავნის გადამჭრელი ხმით ერთ დელეგატს.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი და ჩვენი მიზნები.
2. მოხსენება ყოფილ საოლქო და ცენტრალურ კომიტეტისა.
3. მოხსენება ადგილებიდან.
4. კავშირის ორგანიზაცია.
5. მუშაობა მუშათა ახალგაზრდობაში.
6. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.
7. მუშაობა ახალგაზრდა მუშა-ქალებში.
8. მუშაობა სოფლათ.
9. ინტერნაციონალი.
10. დამოკიდებულება პარტიასთან.
11. არჩევნები.
12. მიმდინარე საქმეები.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქ. მუშ. და გლეხ. ახალგაზრდობის კომ. კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

მისალმება.

ლანჩხუთის რაიონის ახალგაზ. კომუნისტური ორგანიზაციის კომიტეტი უძღვნის მხურვალე სალამს მუშათა და გლეხთა საუკეთესო ინტერესების დამცველ საქართველოს კომუნისტურ პარტიის ორგანოს „ახალ კომუნისტს“.

გისურვებთ მედგრათ და შეურყევლათ გეტარებიოთ ის წითელი დროშა, რომელზედაც სწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“! ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული რომ „ახალი კომუნისტი“ მედგრათ და შეურყევლათ შეებრძოლება მენშევიკების ალვირ-ახსნილ დემაგოგიას საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ახსნა-დაფასებაში, რაიცა ჩვენ, ახალგაზრდებს გაგვიადვილებს სისწორით დავაფასოთ თანამედროვე მომენტი.

ლანჩხუთის რაიონული კომიტეტი.

ფონდი

გულწრფელი ამხანაგური სალამი ქუთაისის რკინის გზის კომუნისტ-მუშებისაგან. აღტაცებით ვკითხულობთ ერთათ-ერთს მუშურ-გლეხურ გაზეთს „ახალ კომუნისტს“ და ვუსურვებთ მას გაძლიერებას და გამარჯვებას. გიგზავნით პატარა ჩვენს წვლილს 800 მანეთს ფონდის გასაძლიერებლათ.

დრ. რედაქტორი:
დიმიტრი ჯორბენაძე.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. 3.